საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუჯაბიძე ვლადიმერ (ლადო) მიხეილის ძე



ვ. გუჯაბიძე „დაუოკებელნი" 1989

გუჯაბიძე ვლადიმერ (ლადო) მიხეილის ძე (დ. 26. VIII. 1945, სოფ. ჯურუყვეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), მხატვარი და მოქანდაკე. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1971). მისი პედაგოგები იყვნენ თ. ნაცვლიშვილი, ვ. თოფურიძე. მხატვარ-გამფორმებლად მუშაობდა თბილისის კომბინატ „ქალაქგაფორმებაში". მხატვრულად გააფორმა საზოგადოებრივი დანიშნულების რამდენიმე ობიექტი, მათ შორის კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი სახლი (ბიჭვინთა). მონაწილეობდა გამოფენებში აშშ-სა და ჩილეში. 1975 მოეწყო გ-ის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა თბილისში, შემდეგ – იტალიაში. 1976 საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც მუშაობდა ქანდაკების ჩამომსხმელად, დიზაინერად. 1981 მისი სკულპტურული ნამუშევრები ერთდროულად გამოიფინა ნიუ-იორკის რამდენიმე გალერეაში. „კნიკერ ბოკერის" გამოფენაზე მიეკუთვნა ოქროს მედალი. 1989 ო. როდენის სახ. III საერთაშ. კონკურსში (ტოკიო) გ-ის სკულპტურული კომპოზიცია „დაუოკებელნი" 15 გამარჯვებულს შორის მოხვდა და ტოკიოს ერთ-ერთ ქუჩაზე დაიდგა, ხოლო ქანდაკება "მუზა" დგას ჰამილტონის ტბის ნაპირას (ჩიკაგოს მახლობლად, აშშ). გ. ნაყოფიერად მუშაობს ჭედურ ხელოვნებაში, ფერწერასა და გრაფიკაში. მისი ნამუშევრები დაცულია აშშ-ის მრავალ მუზეუმსა და კერძო კოლექციაში.